გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
10.07.2017	10.07.2017

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "რიკო ექსპრესი" 205034639
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1518301
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1518301

ეთქვას უარი განმცხადებელს განცხადების განხილვაზე, ვინაიდან მუნიციპალიტეტის საპროექტო ტერიტორია(#01.18.03.018.057 საკადასტრო ერთეული), რომელზეც მოთხოვნილია მისასვლელი ბაქანის მოწყობა, განკარგულია იჯარით(ხიდის ე.წ."პლატფორმის" მოსაწყობად).

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-73 დადგენილება

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
02.08.2017	02.08.2017

განხილვის საგანი :	საჯარო ინფორმაცია
დაინტერესებული პირი :	შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია "რიკო ექსპრესი" 205034639
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1521854
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1521854

გაცნობებთ, რომ 01.18.03.018.057 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით განკარგვა განხორციელდა 2017 წლის 30 მაისის N№61.01171452 ბრძანების საფუძველზე. აქვე გაცნობებთ, რომ იჯარის უფლების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში დარეგისტრირების ვალდებულება ეკისრება მოიჯარეს. ამასთან, მოიჯარის ვინაობის შესახებ ინფორმაცია შეიცავს პერსონალურ მონაცემებს და მისი თანხმობის გარეშე აღნიშნული ინფორმაციის გაცემა დაუშვებელია.